საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/66
2014 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №172 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანდართული დებულება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 5 მარტიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი — **გიორგი კვირიკაშვილი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო“) არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. სააგენტო დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სარგებლობს სპეციალური უფლებაუნარიანობით, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4. სააგენტოს აქვს დებულება, ბეჭედი, ბლანკი, დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა №7.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 30.01.15 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №1-1/556 - ვებგვერდი, 04.01.16 წ.

მუხლი 1[1]. სააგენტოს საქმიანობის პრინციპები

1. სააგენტო საქმიანობს არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

2. სააგენტო უზრუნველყოფს მისი სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და პროგრამების განსაჯაროებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 19 ივნისის ბრძანება №1-1/161 - ვებგვერდი, 23.06.2014 წ.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები და ფუნქციები

1. სააგენტოს მიზნებია:

ა) საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია;

ბ) ქვეყნის ინოვაციების და ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკის და სტრატეგიის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა და კოორდინირება;

გ) მომსახურებების, ინსტრუმენტების, პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირება კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობისათვის;

დ) საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი პროექტების და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინირება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების ყველა სფეროში შეღწევის ხელშეწყობა და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება;

ე) ექსპორტზე ორიენტირებული ინოვაციების და ტექნოლოგიების, ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტების და მომსახურების მათ შორის საექპორტო პროგრამირების განვითარების ხელშეწყობა;

ვ) მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და ინტერნეტის გამოყენების ეფექტურობის ამაღლებისათვის დაგეგმილ მიზნობრივ პროგრამებში და პროექტებში მონაწილეობა;

ზ) სამინისტროსათვის ინიციატივების და წინადადებების წარდგენა ინოვაციების და ტექნოლოგიების, ინტერნეტიზაციის და საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად, ასევე საექსპერტო მხარდაჭერის განხორციელება;

თ) ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მიზნით ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, უწყებათშორისი კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა, მათ შორის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის.

2. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) ინოვაციების და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება;

ბ) ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების, პროექტების, პროგრამების, ინფრასტრუქტურის ფორმირება და დაფინანსების უზრუნველყოფა;

გ) ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, ინოვაციების ლაბორატორიების, აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნაში მონაწილეობა და მათი განვითარების ხელშეწყობა;

დ) ბიზნესის და აკადემიური წრეების კოოპერაციის ხელშეწყობა;

ე) კერძო ბიზნესში კვლევების და განვითარების სტიმულირებისათვის სხვადასხვა პროგრამების განხორციელება;

ვ) უცხოური ტექნოლოგიების და ინოვაციების მოძიება, ანალიზი და დანერგვის ხელშეწყობა;

ზ) ინოვაციებზე და ცოდნაზე დამყარებული ახალი ბიზნეს-ინიციატივების ხელშეწყობა და დაფინანსება;

თ) ინოვაციური პროექტების, პროდუქტების, კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელშეწყობა და დაფინანსება;

ი) ინოვაციური დამწყები ბიზნეს-კომპანიების ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და დაფინანსება;

კ) ინდუსტრიებში ქართული ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ლ) ტექნოლოგიური ინფასტრუქტურის შექმნის და გამოყენების სტიმულირება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში;

მ) საფინანსო და ბიზნეს-სექტორის მიერ ინოვაციური პროექტებისა და დამწყები ბიზნესის დაფინანსების წახალისებისთვის წინადადებების მომზადება და აღნიშნული პროცესების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა;

ნ) ინოვაციების და ტექნოლოგიების სექტორში ინვესტორების და ინვესტიციების მოზიდვა;

ო) საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიური ბიზნესის, ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;

პ) კრეატიული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;

ჟ) პროგრამული უზრუნველყოფის, ექსპორტზე ორიენტირებული პროგრამირების და საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურების განვითარება;

რ) ქართული ინოვაციების და ტექნოლოგიების საექსპორტო პოტენციალის ზრდა;

ს) საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის, ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობის და სხვა ელექტრონული სერვისების განვითარების და გამოყენების ხელშეწყობა მიზნობრივი პროგრამების და პროექტების მეშვეობით;

ტ) ქართული ინტერნეტ პროექტების და ინტერნეტ სივრცის განვითარების ხელშეწყობა და დაფინანსება;

უ) ქვეყანაში კომპიუტერიზაციის პროცესის დაჩქარებისათვის მიზნობრივი პროგრამების და პროექტების ინიცირება;

ფ) კვლევა-განვითარების, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროექტების, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების, ინოვაციური კომპანიების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ მონაცემთა ბაზის ფორმირება და განახლება;

ქ) მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საერთაშორისო რეიტინგებში და შეფასების სისტემებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით მიმდინარე განვითარების პარამეტრების ოპერატიული ასახვის ხელშეწყობა;

ყ) ეროვნული სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების პოპულარიზაცია;

შ) ევროკავშირის და სხვა ქვეყნების ინოვაციების და ტექნოლოგიების, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ მიზნობრივ პროგრამებში

მონაწილეობა;

ძ) ინოვაციების და ტექნოლოგიების, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე მიზნობრივ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

წ) ფინანსურ ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სექტორში დამატებითი გრანტების და ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით;

ჭ) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს, უწყებათშორის კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №1-1/291 - ვებგვერდი, 06.09.2014 წ.

მუხლი 3. სააგენტოს ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (შემდგომში - მინისტრი).

2. სააგენტოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს სააგენტოს, წარმართავს მის საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;

გ) ზედამხედველობს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მოვალეობის შესრულების მიმდინარეობას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას. კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სააგენტოს თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას. იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომელთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

გ[1]) უფლებამოსილია მინისტრთან შეთანხმებით სააგენტოში დასაქმებულ პირებზე დააწესოს დანამატი გარკვეული პერიოდის განმავლობაში (არაუმეტეს შესაბამისი საბიუჯეტო წლის ბოლომდე) „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-17 მუხლით განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების, სააგენტოს თავმჯდომარის ან/და უშუალო ხელმძღვანელის დავალებით, იმ სამუშაოს შესრულებისათვის, რაც სცდება დასაქმებული პირის უშუალო მოვალეობას, თუმცა პირდაპირ არის დაკავშირებული სააგენტოს ან/და სამინისტროს საქმიანობის მიზნებთან და ამოცანებთან, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სააგენტოს ან/და სამინისტროს საქმიანობასთან;

დ) მოქმედებს სააგენტოს სახელით, წარმოადგენს მას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

ე) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს სააგენტოში მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად, ხელს აწერს საბიუჯეტო და ბუღალტრულ დოკუმენტაციას, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში შედგენილ შესაბამის დოკუმენტებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებსა და სასაქონლო ზედნადებებს;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით, კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს);

თ) საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე იწვევს სპეციალისტებს კონკრეტული საქმიანობის განხორციელების მიზნით;

თ[1]) უფლებამოსილია სააგენტოს ორგანიზებულ ღონისძიებებსა და კონკურსებში საპრიზო ადგილზე გასულ პირებზე დააწესოს და გასცეს ჯილდო;

ი) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

ი[1]) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად უფლებამოსილია, შექმნას სათათბირო ორგანოები (სამუშაო ჯგუფები) და განსაზღვროს მათი უფლებამოსილება და საქმიანობის წესი;

ი[2]) ამტკიცებს საქართველოს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებისა და ინოვაციების ლაბორატორიის ქსელის წესდებებს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სააგენტოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე(ებ)ი, რომელიც ანგარიშვალდებულია სააგენტოს თავმჯდომარის წინაშე. სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე(ებ)ს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. სააგენტოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობებს. სააგენტოს თავმჯდომარის და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შეიძლება დაეკისროს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის (დეპარტამენტის) უფროსს. სააგენტოს თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისი მოვალეობებისა და უფლებების ნაწილი ბრძანებით გადააკისროს მოადგილეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 19 ივნისის ბრძანება №1-1/161 - ვებგვერდი, 23.06.2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №1-1/251 - ვებგვერდი, 15.09.2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 30.01.15 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №1-1/598 - ვებგვერდი, 14.11.16 წ.

მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;

ბ) ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტი;

გ) დონორებთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 30.01.15 წ.

მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების ქსელის შექმნას და მათ მართვას;

ბ) ინდუსტრიებში ქართული ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას და პროგრამული უზრუნველყოფის, ექსპორტზე ორიენტირებული პროგრამირების და საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურების განვითარებას;

გ) კრეატიული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობას;

დ) საფინანსო და ბიზნეს-სექტორის მიერ ინოვაციური პროექტებისა და დამწყები ბიზნეს-კომპანიების დაფინანსების წახალისებისთვის წინადადებების მომზადებას და აღნიშნული პროცესების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვას;

ე) ტექნოლოგიური პარკის შექმნას და მისი განვითარების ხელშეწყობას;

ვ) საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირებას; ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის და გამოყენების სტიმულირებას როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში;

ზ) საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიური ბიზნესის, ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას და მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას;

თ) საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით ტრენინგებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ორგანიზებული კონფერენციებისა და ტრეინინგების ფუნქციონალურ გამართვა.

2. ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) ინოვაციების და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობას;

ბ) ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების, პროექტების, პროგრამების, ინფრასტრუქტურის ფორმირებას და დაფინანსების უზრუნველყოფას;

გ) ბიზნესის და აკადემიური წრეების კოოპერაციის ხელშეწყობას;

დ) ინოვაციური პროექტების, პროდუქტების და კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელშეწყობას;

ე) ინოვაციური დამწყები ბიზნესკომპანიების ფორმირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას;

ვ) ინოვაციებზე და ცოდნაზე დამყარებული ახალი ბიზნესინიციატივების ხელშეწყობას;

ზ) კერძო ბიზნესში კვლევების და განვითარების სტიმულირებისათვის სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას;

თ) ქართული ინოვაციების და ტექნოლოგიების საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

3. დონორებთან ურთიერთობებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) უცხოური ტექნოლოგიების და ინოვაციების მოძიებასა და ანალიზს;

ბ) კვლევა-განვითარების, მეცნიერული და ტექნოლოგიური პროექტების, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების, ინოვაციური კომპანიების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და განახლებას;

გ) მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საერთაშორისო რეიტინგებში და შეფასების სისტემებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით მიმდინარე განვითარების პარამეტრების ოპერატიული ასახვის ხელშეწყობას;

დ) ფინანსურ ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სექტორში დამატებითი გრანტების და ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით;

ე) ინოვაციების და ტექნოლოგიების, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე მიზნობრივ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;

ვ) ევროკავშირის და სხვა ქვეყნების ინოვაციების და ტექნოლოგიების, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობას;

ზ) ინოვაციების და ტექნოლოგიების სექტორში ინვესტორების და ინვესტიციების მოზიდვას;

თ) ეროვნული სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების პოპულარიზაციას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება №1-1/36 - ვებგვერდი, 30.01.15 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №1-1/556 - ვებგვერდი, 04.01.16 წ.

მუხლი 6. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტოს საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე, აჩერებს მისი უკანონო აქტის ან მოქმედების შესრულებას.

2. სააგენტომ სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) სესხის აღება;

ბ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

გ) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის და დანამატებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

ე) საკუთარი მიზნების განსახორციელებლად დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

4. სააგენტო აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №1-1/251 - ვებგვერდი, 15.09.2014 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 8 ივლისის ბრძანება №1-1/282 - ვებგვერდი, 10.07.2015წ.

უხლი 7. სააგენტოს დაფინანსება და ქონება

1. სააგენტოს ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსები.

3. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა)საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი შესაბამისი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

დ) შემოწირულობები;

ე) სააგენტოს მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები;

ვ) სახელმწიფო კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება

სააგენტოს მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას ან/და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემის განვითარებას.

მუხლი 8. სააგენტოს საბუღალტრო ანგარიშგება

სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

მუხლი 9. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სააგენტოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

დებულების გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.